№ 181
ოთხშაბათი, 24 აგვისტო 1894

1877—1894

# ივერია

№ 181
ოთხშაბათი, 24 აგვისტო 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 0 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
**და განცხადებათა დასაბეჭდად**
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

## „ი ვ ე რ ი ა“
გამოდის 1894 წელს
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტ ფ ი ლ ი ს ი,
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

**ს ა ს ტ უ მ რ ო**
**«მ ა ნ დ ე მ ი ლ ი»**
მთაწმიდის გორაზედ.

ვამზადებ ქართულსა და ევროპიულს სადილს და ვახშამს. მაქვს აგრეთვე სხვა-და-სხვა გვარი საუზმის სანოვაგე და სასმელები. ყოველივე სუფთად და წმინდად არის გაკეთებული.
(4—1645—3)

ახლად დაარსებული კერძო
**სასწავლებელი**
სტ. შ. ხოჯივანოვისა

ამზადებს ბავშვებს გიმნაზიისა, რეალურის სასწავლებლისა და კადეტის კორპუსის პირველ კლასებისათვის.

სასწავლებელი იმყოფება ქუთაისს, ტფილისის ქუჩაზედ, დადიანის ქუჩის შესახვევში, ხოჯივანოვის სახლში.
(3—1646—3)

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთ უმორჩილესად ვაუწყებ, რომ სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებელში თხოვნების მიღება 25-ს აგვისტოს დაიწყება, მისაღები ეგზამენები კი 27-ს. პირველს განყოფილებაში 35 ვაკანსიაა თავისუფალი და 7—8 წლის მოსწავლე უეგზამენოდ მიიღება. მეორეში, მესამესა და მეოთხეში 6—8—10 შემთხვევითი ვაკანსია იქმნება. სწავლა 3-ს სექტემბერს დაიწყება.

ინსპექტორი სკოლისა ს. ყიფიანი
(6—6—3)

# დეპეშა

22 აგვისტო

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** რადგან ამერიკის მატყლი ძალიან იაფია, აზიისა ძალიან ცოტა ისყიდება, შედარებით უფრო ბევრსა თხოულობენ ბუხარას მატყლს და 7 მან. 15 კაპ. იძლევიან. იარმუკა მიწყნარდა; ვაჭრობა თითქმის თავდება.

**ოდესსა.** გუშინ, ოდესსის დაარსების ასის წლის შესრულების წინა დღეს, საკათედრო ტაძარში გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი ამ ქალაქის დამაარსებლის, ხელმწიფე იმპერატრიცის ეკატერინე მეორისა, აგრეთვე იმის მემკვიდრე ხელმწიფეთა, ხერსონის ეპარქიის ყოვლად უსამღვდელოესთა არქიელთა და ქალაქის კეთილად განმწყობელთა სულის მოსახსენებლად. პარაკლისს შემდეგ ქალაქის საბჭოს დარბაზში სადღესასწაულო სხდომა ჰქონდათ საბჭოს ხმოსნებს. ქალაქს მიუვიდა მილოცვანი და ადრესები სხვა-და-სხვა ქალაქისა, დიდძალ საზოგადოებისა და კერძო კაცთაგან; სადამოზედ ყოველს ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა ლოცვა მწუხრისა ცისკრითურთ ღამის თევით, ხოლო შემდეგ საბჭოს დარბაზში და სახალხო აუდიტორიაში წაიკითხეს უსასყიდლოდ ლექციები „ოდესის დაარსებიდგან ასის წლის შესრულების შესახებ“.

**ათინა.** 130-მდე აფიცერმა და ჯარის-კაცმა აიკლეს სტამბა და სადგომი „აკროპოლისის“ რედაქტორისა, რადგან ამ გაზეთში საბერძნეთის ჯარის შეურაცხ-მყოფელი წერილები იყო დაბეჭდილი. დაპატიმრებულია 20 მეამბოხე.

# ახალი ამბავი

*** ქალაქის გამგეობა ეხლა ამზადებს საბჭოსთვის მოხსენებას ქალაქის მიერ ახალებ 1,500,000 მან. სესხის შესახებ. ეს ფული ქალაქს დასჭირებია ჩვენის მილის წყლის გასაძლიერებლად. ამ მოხსენებას ქალაქის საბჭო განიხილავს იანვრის დამლევს.

*** სამეურნო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ა. ს. ერმოლოვი ამ თვის 22-ს ნოვოროსსისკში მოსულა და იმავე დღეს პიატიგორსკში გამგზავრებულა. ჩრდილოეთ კავკასიაში ბ-ნი მინისტრი დაათვალიერებს იქაურს წყაროებს და სექტემბრის პირველს კისლოვოდსკიდგან ისევ ნოვოროსსიისკში გაემგზავრება და აქედგან შავის ზღვის ნაპირ-ადგილების დათვალიერებას შეუდგება.

*** გუშინ ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ბ-მა იაკიმოვმა თხოვნა მისცა ქალაქის მოურავს, რომ თავს ვანებებ ხმოსნის თანამდებობასაო.

*** ხაშური. 22 აგვისტოს, ღამის 9 საათზედ მოვიდა ბორჯომიდგან ტფილისში წასასვლელად ქ-ნი ლუბა ტრეიდერისა და უეცრად გარდაიცვალა ქალების მოსასვენებელს ოთახში.

*** კვირას ამ თვის 21, როგორც რუსულ გაზეთებიდგან სჩანს ვერაზე და კუკიაში ორი კაცი გახდა ავად ფაღარათობით და გულის რევით, ერთი მათგანი მორჩა და მეორე კი ისევ მიხეილის საავადმყოფოში ცალკე. ეს ავადმყოფი რუსეთიდგან ჩამოსულა. და ეხლა ოფიციალურად გამოცხადებულ იქმნა, რომ პლესკე აზიის ხოლერით არა ყოფილა ავად, რადგანაც საბაქტერიოლოგიო გამოკვლევამ არ აღმოაჩინა კოხის ბაცილები. როგორც მიხეილის საავადმყოფო აცნობებს კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგეს ბ-ნ გლავაცკის, ავად ყოფილა „cholera nostres“-ით, ,,ადგილობრივ ხოლერით'', რომელიც გადამდები არ არის და ადვილად ჩნდება საჭმელ-სასმელის ხმარების გაუფრთხილებლობისაგან.

*** სოფ. გეჯეთი (სამეგრელო). ფერისცვალების დილას გლეხი ოთარიკა ოჩიგავა თევზის საჭერლად ჩასულიყო ღელეში, რომელიც გვერდით ჩაუდის იმის სახლს. ეს შეეტყო ბეჟან ჯავახიას, გაჯავრებული მოვარდა გლეხთან და დაუშალა თევზის ჭერა. ეს ღელე გამოყვანილია ნეტარ-ხსენებულის ნიკოლოზ დადიანისაგან მდ. ტეხურიდგან და შუა სოფელში მიმდინარეობს. სწორედ დიდი სარგებლობა არის სოფლისათვის, რისთვისაც მთელი სოფელი ჰლოცავს იმის გამომყვანს. ამ ღელეზე დაკეთებულია ბევრი სადადიანო წისქვილი, რომელთა შორის ერთი ხსენებულ ჯავახიასაც ეკუთვნის. ამის გამო ამბობს: „წყალი ჩემია, ჩემს ადგილზედ მიდის, ყოველივე საბა''... № 186: ,,მეფე გიორგი... ათი წელი იმეფა''... ნუ თუ ეს მაგალითიც გ. წერეთლის მიერ შეთხზული ,,ისტორიული ოფოფი'' არ არის?

---

# ფელეტონი

## „ახალ-სინტეზ-სისტემოვანი“ ისტორიული და ხუროთ-მოძღვრებითი მეცნიერება ბ-ნ გ. წერეთლისა.

„მიექცეს სიცრუვე მათი თხემსავე მათსა“
(ფსალმუნი)

(ვუძღვნი ჩემს რიონელ-გოგიტელას)

—

(შემდეგი*)

„ქართლის ცხოვრების“ მოწმებით,—მოგვითხრობს გ. წერეთელი,—ეს (ყურულის გუჯარში მოხსენებული) მეფე უნდა იყოს გიორგი IX, რადგან გიორგი მცირე, ბაგრატ დიდის V-ის შვილის-შვილი, მეფედ იყო ცნობილი (? ბურუსია!). ვახუშტის სამართლიანად არ მიაჩნია გიორგი მცირე მეფედ, რადგან ის მაშინ ორის წლის ჩჩვილი იყო, როცა ოლჯაით ყაენმა მეფედ უწოდა და ჩააბარა მისი აღზრდა გიორგის, შემდეგ ბრწყინვალედ წოდებულს“... („კვალი“ № 11, 1893 წ.).

ჰკითხულობ ამ მობრძნოდ დაწერილს „შალთაი-ბალთაი ლათაიებს“ და არ იცი, სიზმარში ხარ თუ ცხადში. ბატონებო! გაგიგონიათ ამისთანა არაკი: მეფე გიორგი მცირე (1308—1318წ.) შვილისშვილი იყოთ ბაგრატ V-ის დიდისა (შვილისშვილი პაპაზე უწინ გაამეფა!), რომელიც მეფობდა 1360—1395 წ. და გიორგი ბრწყინვალეს ებარაო იმ დროს, როდესაც გიორგი ბრწყინვალეს ჯერ მეფობა არ მიეღო, ე. ი. 1310 წ. (იხ. „ქართლის ცხოვრება“ I, გვ. 446; Brosset: Hist. de la Géor. I, p. 641—642;) მერე წარმოიდგინეთ, რომ ამ 1310 წელს ბაგრატ დიდს შვილისშვილი ჰყოლია მეფე „გიორგი მცირე“ და ეს შვილიშვილი კიდეც გაუმეფებია ოლჯათ ყაენს ბაგრატის დიდისავე მეფობაში (დიდება „ახალ-სინტეზ-სისტემის“ მეცნიერებას!), მერე გამეფებულა პაპა ბაგრატ დიდისა გიორგი ბრწყინვალე (1318—1346) და იგივე ბაგრატ დიდი ცოცხალი-კი ყოფილა. მოხუცებულა და მომკვდარა კიდეც გიორგი ბრწყინვალე და გამეფებულა დავით VII (1346—1360), მამა ბაგრატ დიდისა, რომლის შვილიშვილი «გიორგი მცირე» თვით ბაგრატ დიდის პაპის უწინ მეფედ მჯდარა და წარმოიდგინეთ, რომ ბაგრატ დიდს მხოლოდ ახლა მიუღია მეფობა, როდესაც მისის შვილისშვილის გამეფებიდამ გასულა ორმოც-და-ათი წელიწადი (1310+50=1360) და ორს სხვა მეფობასაც გაუვლია და ამდენ თაობის და მეფობათა მომჭამელს ბაგრატ დიდს კიდევ უმეფნია 35 წელიწადი, ასე რომ როდესაც ბაგრატ თემურლანგს ებრძოდა, ის იქნებოდა არა უმცირეს 200 წლისა, რადგან მისი შვილიცვილი გიორგი მცირე გამეფებულა თავის პაპაზე უწინ (ჰოი საკვირველებავ!) 1308—1310 წ. (Hist. de la Géorg. II, p. 624—625); ხოლო ცოლი შეურთავს ბაგრატ დიდს 1366 წელს, ე. ი. 160—180 წლისას (Hist. de la Géorg. I, p. 625)! წარმოიდგინეთ, რომ ეს 200 წლის მოხუცი—ახალგაზდა მეფედ არის დახატული გ. წერეთლის „მხატვრობითის მეცნიერების“ გამოკვლევით გელათის „ვედრების ღვთისმშობლის“ ხატზე!!

რაკასვირველია, ყოველივე ეს არაკია და „ოფოფები“, ბ-ნ გ. წერეთლის „ახალ-სისტემ-სინტეზ-პრინციპებიანის“ გამოკვლევისა, თორემ როდესაც გიორგი მცირე გამეფდა (1308 წ.), მაშინ ბაგრატ დიდი (გ. წერეთლის „ახალ-სისტემის“ აზრით, პაპა ამ «გიორგი მცირისა») დაბადებულიც არ ყოფილა და აბა შვილისშვილი როგორ ეყოლებოდა! «გიორგი მცირე» შვილისშვილი-კი არ იყო ბაგრატ დიდისა, არამედ შვილი დავით VI მეფისა († 1310). „გიორგი მცირეს“ მეფობის შემდეგ გამეფდა გიორგი ბრწყინვალე († 1346 წ.), მერე მისი შვილი დავით VII († 1360 წ.), მერე ბაგრატ დიდი († 1395), მერე ალექსანდრე († 1442), მერე ვახტანგ IV († 1445), მერე დიმიტრი († 1452) და მერე ის გიორგი IX, რომელზედაც «კვალის» მეცნიერს ლაპარაკი გაუბამს და ამდენს თაობასა და მეფობათა ზედ გადამხტარა „ახალ-სისტემ-სინტეზის“ სახტომელაზედ!! (იხ. ვახუშტი—ბაქ., გვ. 274—280; ქ.-ცხ. I, გვ. 446; Brosset. Hist. de la Géor. I, p. 641—642; II, 624—625; ქ.-ცხ. II, გვ. 180—190).

წარმოიდგინეთ, რომ ეს ამოდენა ნისლ-ბურუს-ფანტაზოვანი «ოფოფები» გ. წერეთელს თურმე დაუწერია მეცნიერთა „ხელ-სამძღვანელოდ“ („რათა გაუადვილოთ შრომა ჩვენს მკვლევრებს და კომენტატორებს“, „კვალი“, 1894 წ. № 9), ვითარცა „ახალ-სისტემ-სინტეზ-პრინციპების“ აღმომჩენელს მოძღვართამოძღვარს!.. პირჯვარი მაინც დაიწერეთ, ბატონებო!

მიაქციეთ კიდევ ყურადღება ბ-ნ გ. წერეთლის ცრუობას: „ვახუშტს (უნდა „ვახუშტის“) სამართლიანად არ მიაჩნია ,,გიორგი მცირე'' მეფედ. ეხლა გადაშალეთ ვახუშტის ისტორია (გვ. 274, გამოცემა დ. ბაქრაძისა) და იხილეთ: ,,მეფე გიორგი მცირე 1308—1318. ხოლო მისცა ყაენმა მცირესა ამას გიორგის მეფობა''... № 186: ,,მეფე გიორგი... ათი წელი იმეფა''... ნუ თუ ეს მაგალითიც გ. წერეთლის მიერ შეთხზული ,,ისტორიული ოფოფი'' არ არის?

კიდევ სიცრუვე: ,,ქართლის ცხოვრების მოწმობით, ეს მეფე უნდა იყოს გიორგი IX. გეფიცებით, თუნდ მთელი ქართლის ცხოვრებიც'' რომ გადააბრუნოთ, ესეთს მოწმობას ვერ იპოვით. ესეც ცოტა მოგახსენეთ: ,,ქართლის ცხოვრებაში'' სრულიად ვერ იპოვით ამ გვარს ანგარიშებს: მეფე გიორგი ,,პირველი'' ,,მეორე'' ,,მეცხრე''... ცხადია, ბ-ნ გ. წერეთელს, ქ—ცხოვრება ხელშიაც-კი არ აუღია, ანუ განგებ უცრუვნია. ორივ შემთხვევაში აქაც ერთს ,,ოფოფს'' მაინც ჩავუგდებთ.

ისეთი წვრილმანი ,,ოფოფები'' აბარა მოსახსენებელია, როგორც, მაგალითად, ის, რომ წერეთლის ,,ახალ-სისტემ-სინტეზ-პრინციპით'' ათაბაგი ყვარყვარე II ძმა ყოფილა ალბულასი, ბაგრატ II მეფე იმერეთისა თურმე მეფე გიორგი VIII-ის ,,ძმისწული ყოფილა'' (,,კვალი'' № 11); ანუ ,,მოქვის ტაძარი სძევს (?) მთაში'' (რომელ გეოგრაფიით? ,,ახალ-სისტემ-სინტეზიანით'' თუ? იხ. ,,კვალი'' № 16); გინა: ,,დასავლეთის ზღვებთან (მოქვის ტაძრისთვის) მიუშენებიათ დიდი სამრეკლო“ (,,კვალი“ № 16): ბევრჯერ ვყოფილვარ მოქვს

*) იხ. «ივერია», № 180.

რგებლობაც მე მეკუთვნისო, ჩემს უკითხავად სხვას ერთის ლიფსიტის გამოკლებაც არ შეუძლიან ამ წყალში, „უფლება მე მაქვსო“. თუ ყველა წისქვილის პატრონმა წყალი დაისაკუთრა, რაც მოსალოდნელია ამ შემთხვევის შემდეგ, მაშინ ჩვენი სოფელი დიდს გაჭირებაში ჩავარდება.

*** „ნოვ. ობოზ.“ სიტყვით, ბორჯომის რკინის გზის შტო 29 ვერსია სიგძით: სადგურ ხაშურიდგან სუმბათოვამდინ—13 ვერსტი და სუმბათოვიდგან სადგურ შავწყლამდის—16 ვერ. ფასი მგზავრის წასასვლელადაც და ბარგის გადატან-გადმოსატანადაც გზის მანძილის კვალობაზედ იქნება დანიშნული. 3 ვერსტზედ სადგურ შავიწყლიდგან დ. ბორჯომამდე ცხენის რკინის გზა ივლის, რომელიც კავკასიის რკინის გზის მმართველობას შეუძენია. როდესაც ბორჯომის რკინის გზის შტოზედ დაიწყება მოგზაურთა მატარებლების სიარული, როგორც გამოცხადებული იყო კავკასიის რკინის გზის მმართველობისაგან, მხოლოდ თითო ვაგონი იქნება ამ მატარებელში I, II და III კლას. და ერთიც ბარგისთვის.

*** იმავე გაზეთის სიტყვით ქართულ დრამატიულ საზოგადოების მმართველობას თავისს უკანასკნელს სხდომაზედ დაუდგენია, რომ ჩვენ ნუ ვიკისრებთ დასის შენახვას, რადგან საშუალება ძალიან მცირე აქვს საზოგადოებას. სჯობია ამხანაგობა შესდგეს არტისტთაგან, რომელთაც წარმოდგენები საზოგადოების მმართველობის ზედამხედველობით უნდა გაჰმართონ ისე-კი, რომ მმართველობამ ფულით შემწეობა მისცეს და ათხოვოს ხოლმე ტანთსაცმელი და წიგნთ-საცავი. ქართული წარმოდგენები ბანკის თეატრში დაიწყება მხოლოდ სექტემბრის გასულს ან ოქტომბრის დამდეგს, რადგან ეხლა დაიწყეს საფუძვლიანად შეკეთება ამ თეატრისა.

*** ორშაბათს, 22 აგვისტოს, დილის 8 საათზედ სამხედრო გზის სადგურიდგან ფოსტის 7 ეტლით კავკავში წავიდნენ თურმე სხვა-და-სხვა სპეციალურ სამხედრო სასწავლებლებში ახლად სწავლა-დამთავრებულნი ტფილისის კადეტთა კორპუსის მოწაფენი. დილიდგანვე კადეტის კორპუსი და ფოსტის სადგური სავსე იყო წამსვლელ კადეტთა მშობლებით და ნათესაობითაო, სწერს გაზ. „ტფ. ფურც.“ სულ 53 კადეტი წავიდა თურმე, რომელთა შორის მისის უდიდებულესობის პაჟთა კორპუსში წავიდა უგანათლებულესი თავადი დადიანი; ნიკოლოოზის სახელობაზედ დაარსებულ ცხენოსანთა სასწავლებელში მაჭავარიანი და თავ. ბარათაშვილი; მიხეილის სახელობაზედ დაარსებულ საარტელერიო სასწავლებელში—ნაცვლიშვილი; კონსტანტინეს სახელობაზედ დაარსებულ საარტელერიო სასწავლებელში — ტერ-ასატუროვი; ნიკოლოოზის სახელობაზე დაარსებულ საინჟენერო სასწავლებელში— ზედგინიძე; პავლეს სახელობაზედ დაარსებულ ქვეითა ჯარის სასწავლებელში—მირიმანოვი, თავ. ციციშვილი, საგინაშვილი და ალექსანდრეს სახელობაზედ დაარსებულ ქვეითა ჯარის სასწავლებელში—ჩრდილელი, თავ. ბრლუთინსკი და მანსვეტოვი.

*** ბ-ნი შ. უცნაურს ამბავსა სწერს გაზ. „კასპში“ ბაქოს ფოსტის არსებულ წესების შესახებ: „ამ დღეებში, ამბობს, იგი, ფოსტაში გავატანე ჩემს მოსამსახურეს პაკეტით ფული, რომელიც ავსტრიის ქალაქში იყო გასაგზავნი. მოსამსახურემ ბარათი მომიტანა, დავხედე და ჩემს თვალებს არ ვუჯერებდი; ამ ბარათში სწერია: „უნდა გაიგზავნოს მოსკოვში, ამა-და-ამ ავსტრიის ქალაქში“. შეცდომა თუ არის-მეთქი, ვიფიქრე. მეორედ მე თითონ წავიღე წერილი ფულით ვენაში გასაგზავნად. ბარათი მივიღე, დავხედე და ისევ ის ეწერა: «მოსკოვში, ავსტრიაში, ქ. ვენას.» მოხელეს ვკითხე და ასე მიპასუხა: «ჯერ-ჯერობით მთავრობისაგან ასეთი განკარგულებააო და თუ ახლა კერძო კაცები გაერევიან ამ საქმეში, შეიძლება ოდესაზედ გაგვაგზავნინონო». მერე ფოსტის სამმართველოში ვიკითხე და იქაც ისე მითხრეს, რომ ფულიანი წერილები, რომელიც საზღვარ-გარედ არის გასაგზავნი, ჯერ მოსკოვში იგზავნებაო. ამ რიგად, ოდესაზედ გაგზავნილი ფულიანი წერილები, ვენაში მიდის მეცხრე დღეს და რადგან მოსკოვზე ჰგზავნიან, მე-21 დღეს, ე. ი. 12 დღით უფრო გვიან უნდა მივიდეს“. ნუ თუ ტფილისიდგან გაგზავნილ ფულიან წერილებსაც ეს ბედი ემართება?-.

*** გაზ. „ნოვო ვრემია“-ს სიტყვით, ამ ჟამად ის ადგილი, რომელიც მდებარეობს შარშან რუსეთის მიერ სპარსეთიდგან შეძენილ მიწა-წყლის, სპარსეთის სოფელ ფირუზის მახლობლად, ასხაბადიდგან 30 ვერსის მანძილზედ, და რომელიც დიდად მდიდარია მცენარეულობით, უკვე დაუნაწილებიათ და უსასყიდლოდ ურიგებენ იმ აფიცრებს და მოხელეებს, რომელნიც იმიერ-კასპის ოლქში ჰმსახურებენო.

*** გაზ. „Руск. Жизнь“-ი გვაუწყებს, რომ შავის ზღვის ნაპირებზედ რკინის გზის ლიანდაგი ამ გვარად უნდა იქმნას გაყვანილიო. ლიანდაგი დაიწყება ნოვოროსიიდგან, გაივლის დიდს სავაჭრო დაბას სოჭის, ახლოს, მერე ახლოვე ჩაულის სოფ. ადლერს, რომელსაც მშვენიერი ადგილ-მდებარეობა აქვს, და წავა გაგრის ციხე-სიმაგრისაკენ. დიდრონი ხიდები იქმნება გადებული მდინარე ნაზიბსა და კოდორზედ; სოხუმიდგან ლიანდაგი აბხაზეთის მფლობელთა სამყოფელს ოჩემჩირეში გაივლის; მდ. ინგურზედ უშველებელი ხიდი გაკეთდება; ოტობაიდგან, რომელიც სავაჭრო-სამრეწველო ადგილია, ლიანდაგი ზუგდიდის მაზრას გადასჭრის და გათავდება ახალ-სენაკთან. მთელი გზის სიგრძე იქნება 295 ვერსტი. 1 ვერსტი გზისა დაჯდება 58,000 მან., მთელის გზის გაკეთება-კი 17,110,000 მან., დასჭირდება.

*** 21 აგვისტოს ორთაჭალაში მტკვარმა გამორიყა 18 აგვისტოს დამრჩვალის ჯარის კაცის მელნიკოვის გვამი.

*** 20 ამ თვისას მეორე თუმანოვის ქუჩაზედ ვანო ბათიევის სახლი დაიქცა. უბედურება არა მომხდარა. სახლის დაქცევის მიზეზი ისა ყოფილა, რომ იმის მეზობელს ავალოვს ამ სახლის საძირკველთან თავის სახლისათვის მიწა გამოუთხრევინებია.

*** 22 ამ თვისას შავ სოფელში თავისავე სახლში ჩხუბი მოუვიდათ კახის სკოლის მასწავლებელს ივანე პოლიკარპეს ძეს და იმის ძმა ანტონ დუნაევებს პირველმა მეორეს რევოლვერი დაცა და მოჰკლა. დამნაშავე შეიპყრეს.

## დამაკვირდი

ვისაც შენი ნაკლ-ულევანებანი ვერ შეუმჩნევია, ის ვერც შენს ღირსებას დაინახავს რიგიანად.

**

დავნის ხეების ჩრდილი ან თავს უბრუებს და ათრობს ადამიანს, ან აძინებს.

პითაგორი

**

სიღარიბე ქველ-მოქმედს კიდევ ჰშოულობს ათასში ერთხელ, მაგრამ მეგობარს-კი ვერასოდეს იშოვნის.

კოცებუ

## კორესპონდენცია

**ს. საჭილაო.** საჭილაოში მდებარეობს მარნის ჭალა ცხენის წყლის მდ. ნაპირზედ. ეს სახელი იმიტომ დარქმევია, რომ სამეგრელოს თავად დადიანს ჰქონია იქ მარანი და იქ მცხოვრებნი შეადგენენ მარნის საზოგადოებას. ამ მარნის ჭალაში დააარსა პროფესორმა ილია ლაზარეს ძემ ოქრომჭედლიშვილმა ხე-ტყის სახერხი ქარხანა 1889 წელს. ხეები ცხენის წყლით ჩამოჰქონდათ სვანეთიდგან. მუშაობა და ხე-ფიცრების ვაჭრობა, დაარსებისა შემდეგ, თანდათან ჰმატულობდა და რიგიანად სწარმოებდა.

ამ წლის აგვისტოს 20-ს ღამის ათს საათზედ, იქაურს დარაჯს დაენახა, რომ ქარხანას გასჩენოდა ცეცხლი. დარაჯს, რომელიც იყო დაყენებული იმ ქარხნის მეთვალ-ყურედ, მაშინვე დაეცალა ორ-სამჯერ თოფი; ამ თოფის ხმამ წამოჰყარა იქაურნი მოსამსახურენი. გაიგეს ეს თოფის ხმა ეკკლესიების დარაჯებმა, და ასტეხეს ზარების რეკვა. ზარების რეკვა შემოესმათ ს. საჭილაოს მცხოვრებს და მაშინვე გაეშურნენ ბ-ნ ოქრომჭედლიშვილის ქარხნისაკენ მით უფრო, რომ ბუხრის საყვირი ისმოდა «ქარხნიდგან». ხალხს უნდოდათ შესულიყვნენ და საშუალება ეხმარათ რამე, მაგრამ ქარხნის მოსამსახურეებმა არ მისცეს ნება, რადგან ეშინოდათ ქარხნის ქვაბის გახეთქისა. რამოდენისამე ხნის შემდეგ შეატყეს, რომ ქვაბის გასკდომის შიში არ არისო, ხალხი შეცვივდა ქარხნის ეზოში და მრავალი ფიცრების საწყობის შენობა და მოსამსახურეთა სადგომი გადაარჩინა. ქარხნის ის ნაწილი-კი, რომელშიაც ხე-ტყე იხერხებოდა, დაიწვა თავის მაშინებითურთ.

ამ სამწუხარო ამბავმა ძლიერ შეაწუხა მარნის საზოგადოება და აგრეთვე ს. საჭილაოს მცხოვრებნი, რადგან სამუშაო ჰქონდათ და ტყის მასალის ყიდვაც ადვილად შეეძლოთ. როგორც შევიტყვეთ მარნის საზოგადოებას განზრახვა აქვს მიჰმართოს ბ-ნ ოქროჭედლიშვილს სიტყვიერის თხოვნით, რომ ხელმეორედ დააარსოს იმ გვარივე ხე-ტყის სახერხი ქარხანა და ისინი ხარ-ურმით შემწეობას აღმოუჩენენ.

მარნელი

**სოფ. ქარელი** (ქართლი): სოფ. ქარელში კვირას, ამ თვის 21-ს, მი-

---

და გარწმუნებთ, ეს სიცრუვეა ანუ „ოფოფი. იქვე „კვალში“ დახატულია: „აღმოსავლეთი კერძო მოქვის ტაძრისა“, მაგრამ უცრუვნია და დასავლეთის მხარე აღმოსავლეთისად უჩვენებია: (თუ შეიძლება, ესეც „ოფოფი“ იყოს); კიდევ: „(ბედიას) სულ ძველად ბერძნებმა უწოდეს კოლხიდა“ და ეს სიტყვა უნდა წარმომდგარიყოს ქართული (sic) სიტყვისაგან (ქართული წამომდგარა სიტყვისაგან, თუ სიტყვა სიტყვისაგან? „ახალ-სისტემ-სინტეზიანი“ ქართული თუ არის ეს?!.) „კლდ ერიყეთიდან“ ..,რადგან ეს ქვეყანა მართლაც უწინდელ დროს და ახლაც ზღვის ნაპირის კლდიანს რიყეს წარმოადგენს“. მერე რა უნდა ბედიას ზღვის ნაპირას „ახალ-სისტემის“ ფილოლოგო? ან-და აბა ვის უნახავს ბედიაში რიყეები! ნუ გამიწყრებით, და მე აქ ორს „ოფოფსა“ ვსხამ: ფილოლოგიურს და «ახალ-სისტემ-სინტეზიანს» გეოგრაფიულს. გეოგრაფიულს „ოფოფს“ გ. წერეთელი კიდევ აიფრენს, რადგან, როგორც საგულისხმებელია, „კლდე-რიყეთ“-ად იგულისხმებს მთელს სამეგრელოს, მაგრამ აბა ერთი მითხარით, რა „კლდე-რიყეთია“ სამეგრელო, ბ-ნო გ. წერეთელო?

კიდევ: „(თამარ მეფის) შემდეგ აქ ბედიის ტაძარი შეიქმნაო ბედიელ მიტროპოლიტთა საჯდომი ამ დროიდამ... ბედიელობა დარჩა ღირსებად ბედიის მიტროპოლიტსა“ („კვალი“, № 22), და განმარტავს, რომ თამარის დრომდის ბედიელად იწოდებოდნენო ეგრისის ერისთავნი, ხოლო შემდეგ ეს ერისთავები იწოდებოდნენო დადიანებად, ხოლო ბედიელობის სახელ-წოდება ბედიელ მიტროპოლიტებს შერჩათო. ყოველივე ეს სრული სიცრუვეა, გამოგონილი „ახალ-სისტემ-სინტეზით“ გ. წერეთლის მიერ. ბედია-ეგრისის ერისთვები თამარ მეფის დრომდისაც იწოდებოდნენ დადიანებად, მაგალითად, ბაგრატ IV დროს (1050 წ. ახლო) ცნობილია „დადიანი ივანე“ (ქ.-ცხოვრ. I, გვ. 225; Brosset; Hist. de la Géor. I, p. 320—321); მეფე გიორგი III დროს (1160 წ. ახლო) სჩანს «შანშე დადიანი“ (იხ. ქ.-ცხ. I, გვ. 266 და Hist. de la Géor. I, p. 386). აგრეთვე ბედიის მიტროპოლიტნი „ბედიელად“ იწოდებოდნენ თამარ-მეფის დრომდის, მაგალითად: ბაგრატ IV დროს „იოვანე ბედიელი“ (იხ. „სამოთხე“ საბინინისა: ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა და ეკკლესიის მუზეუმის ხელ-ნაწ. № 170, გვერ. 251, 261; 562. ათონის ტყავის ხელ-ნაწერი 1074 წ. დაწერილი, გვ. 323; ათონის აღაპები XI საუკუნისა №№ 15, 17, 20); დავით აღმაშენებლის დროს „სვიმონ ბედიელი ალავერდელი“ (ქ. ცხოვ. I, გვ. 252 და Hist de la Géorg. I, p. 370), აგრეთვე დავით მეფის ანდერძი, თვით მისგან ხელმოწერილი, ტყავის გუჯარი სინოდ. კანტორისა № 33, სადაც მოხსენებულია „სვიმონ-ბედიელალავერდელი. — ნუ თუ ამასაც ორ „ოფოფად მაინც არ უანგარიშებთ ბ-ნს გ. წერეთელს, „ახალ-სისტემ-სინტეზ-პრინციპებიან ხელ-სამძღვანელოს“ პატრონს და მეცნიერთა მოძღვარს? ნუ თუ ეხლაც არ დარწმუნდით, რომ ჩვენს მოძღვართ-მოძღვარს ქართული მატიანე ჯერ ხელშიაც არ აუღია?

ის გარემოებაც დიაღ სხვილი „ოფოფია“, რომ გ. წერეთელს (თუ სხვას?) „კვალში“ (№ 22) დაუხატვინებია სრულიად დაქცეული ტაძარი და ქვეშ მოუწერია: „ბედიის ტაძრის ნანგრევი“. ბევრჯელ მინახავს ბედიის ტაძარი, დიდხანსაც არ გაუვლია, რაც უკანასკნელად ვნახე და გარწმუნებთ, რომ ბედიის ტაძარი დანგრეული არ გახლავთ, მხოლოდ დაზიანებულია და ამაყად გამოიცქირება თავისის პოეტურის სიმაღლიდამ. შეუძლებელია, რომ ამ მოკლე ხანში ის დანგრეულიყო, ისე, როგორც დახატულია „ნახატებიანს სამეცნიერო (sic) გაზეთს კვალში“, რომელშიაც მეცნიერების კვალიც-კი ვერ მოიძებნება. გამოიცანით, ვინ ვინ მოატყუა: გ. წერეთელმა პავლინოვი, თუ პავლინოვმა გ. წერეთელი? აი ამისთანა გადამქნელი“ მამხილებს, რომ ბედიის ტაძარი „გრკლოვანი“ არ არისო და მიითითებს „კვალში“ დახატულს „გადაქნილ ნანგრევებს“. სწორეთ ცხრაასი თავი მაინც უნდა ებას კაცს, რომ ბ-ნ გ. წერეთლის „შარებს“ და „ახალ-სისტემ-სინტეზიანს“ ხრიკებს მოურჩეს მშვიდობით!

ისიც „ოფოფად“ ჩამომირთმევია ბ-ნ გ. წერეთლისთვის, რომ „მანდატურთ-უხუცესი დადიანი გიორგი“ მისის დედით მარეხითურთ მეთოთხმეტე საუკუნიდამ მეთექვსმეტე საუკუნეში გადუსკუპებია და ორასის წლის ნახტომი უქნია. მართალია, ამ შეცდომაში (საეჭვოდ და არა სარწმუნოდ გამოთქმულში) სხვებიც ყოფილან, მაგრამ განა „მოძღვარს“ და „ხელ-სამძღვანელოს“ დამწერს ეპატიება ის, რაც ბროსსე-ბაქრაძეს და სხვათა „არა-ცოდნა-არა-ცოდვად“ უნდა ჩამოერთვას? აბა ერთი გაგვახარეთ და ჩ მომძახეთ ზესკნელეთიდამ, ბ-ნო გ. წერეთელო, რომელს საბუთში აღმოგიკითხავთ, რომ გიორგი III დადიანი მე-XVI საუკუნისა იწოდებოდეს „მანდატურთ-უხუცესად“? მთელი ჰაერ-ზესკნელ-ქვესკნელეთიც რომ მიმოირბინოთ და ქურქიც გადაიბრუნოთ, მაინც ვერ იპოვით და ვერა!

კიდევ ოფოფები: გ. წერეთელი არჩევს (რასაკვირველია, მეცნიერულად) დ. ბაქრაძის მიერ შემოკლებით დაბეჭდილს ერისთავის ვამიყ შაბურის გუჯარს 1474 წელს („კვალი“ № 25). ავქსონი გვარწმუნებს: «უკანასკნელი წარმომადგენელი ამა გვარისა, როგორც ეტყობა, ყოფილა ვამიყ შაბური». აბა ვკითხოთ ამ მეცნიერს, საიდამ „ეტყობა“? უკაცრავად, სრულიადაც არ ეტყობა: იმავე გუჯრიდამ სჩანს, რომ ვამიყს ჰყოლია შვილები გიორგი, ომარ, მიქია, (ნუგზარ), ვარამ და ვარამის შვილი მიქია. მათი ხელ-მოწერილიც (პირველის სამისა) ზედვეა გუჯარზედ. ესეც დიაღ „ოფოფია“. განვაგრძოთ:

„ვამიყ შაბურს... ალექსანდრე პირველის მეფის შერისხვის გამო დაუკარგავს არაგვის ერისთავობა“. ესეც სრული სიცრუვე გახლავთ: იმავე ვამიყ შაბურის გუჯრიდამ 1465 წლ. სჩანს, რომ ვამიყ ერისთავი არა თუ შერისხული არა ყოფილა მეფეთაგან, არამედ, წინააღმდეგ ამისა, იმდენად შეწყალებული ყოფილა, რომ მეფე გიორგის თვისი ქალი მიუთხოვებია შაბურიძე ვამიყის შვილის ერისთვის გიორგისთვის; როგორც თითონვე სწერენ: „ესე წიგნი... მოგაკსენეთ (მცხეთას) ჩუენ შაბურის ძეთა ერის-

ხეილ სოლომონის ძის ციციშვილის ბაღში—„ფარდულ'ში“ ტფილისის ქართულის თეატრის არტისტებმა, მოსკოვის ღარიბ ქართველ სტუდენტების სასარგებლოდ გაჰმართეს წარმოდგენა. უნდა წარმოედგინათ: „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“, მაგრამ რაღაც მიზეზისა გამო აღნიშნულს ვადაზედ ყველა არტისტები ვერ გამოცხადდნენ, რის გამოც წარმოადგინეს: ,,პრიკაშჩიკი შკაფში‘‘ და ,,ახირებულია‘‘. წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს ბ-ნებმა აბაშიძემ, სვიმონიძემ, ნებიერიძემ და ქ-ბა ნებიერიძისამ. თუმცა წარმოგდენამ მშვენიერად ჩაიარა, მაგრამ ცოტა არ იყოს ხალხში უთანხმობა გაისმოდა, რასიც დაგვპირდნენ, რატომ იმას არ არდგენენო.

წარმოდგენა დაიწყო საღამოს ათის საათის ნახევარზედ და გათავდა ღამის თორმეტ საათის ნახევარზე. ანტრაქტების დროს უკრავდა ორი დასი საზანდრებისა. როგორც თეატრის შენობა, აგრეთვე ბაღი განათებული იყო ფერად ფერადის ქაღალდის ფარნებით. თეატრის ფარდულთან გამართული იყო ,,ბუფეტი,‘‘ სადაც ყოველ ნაირი სასმელ-საჭმელი მოიპოვებოდა. ხალხი ძალიან ბლომად დაესწრო, არც კი მოვიფიქრებდით თუ ამის ნახევარი დაესწრებოდა. დამსწრენი თითქმის სულ თავადობა იყო, სხვა ხარისხისას ოცში ერთს კაცს ძლივს დაინახავდით. ადგილის ფასს მამა კაცი იხდიდა 1 მ. 50 კაპ., ხოლო მანდილოსანი 1 მ. აუშვეს რამდენიმე შუშხუნა. თეატრის გათავების შემდეგ გაჩნდა ლეკური, რომელმაც დიდხანს გასტანა. ლეკურის შემდეგ ახალგაზდობა ჩაუსაფრდა ,,ბუფეტს‘‘ და საზანდარით სწორედ რომ ქართული დროება გაატარეს. ხალხი დაიშალა გათენების ხუთს საათზედ. შემოსავალი თვრამეტ თუმნამდე იქმნება ხარჯიანად.

დამსწრე.

—

**ნუკრიანი** (სიღნაღის ნაწილი), 12 აგვისტო. მშვენიერი ბუნება ჩვენის მაზრისა უხვად აჯილდოვებს ადგილობრივ მცხოვრებთ ყოვლის მხრით ნივთიერად, ასე რომ შედარებით ჩვენის ქვეყნის სხვა მაზრების მცხოვრებლებთან უეჭველად ამათ პირველი ალაგი უჭირავთ. ამის მიხედვით სწავლა-განათლებითაც, თუ პირველი არა, საშუალო ადგილი მაინც უნდა ეჭიროთ, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ამ მხრივ-კი უკანასკნელი ადგილი აღმოუჩნდებიათ. უბედური გლეხ-კაცობა შთანთქმული არის უმეცრებისა და უვიცობის უფსკრულში. ამას ნათლად გვიმტკიცებს მცირე რიცხვი სასწავლებლებისა და გავრცელებული ათას ნაირი ცრუ-მორწმუნოება, რომლის წყალობითაც თითქმის თავისს ნახევარს შეძლებას ჰფლანგვას აქაური გლეხ-კაცობა. ყველა დამეთანხმება, ვისაც-კი უნახავს გაზაფხულ-შემოდგომაზედ, მთელი ქიზიყი რომ მოიგლიჯება ხოლმე და მიისწრაფება ტფილისისაკენ სალოცავად, რომ აღასრულონ მკითხავის ნათქვამი და მივიდნენ კარგის ნუზლ-სურსათით მარტო დანიშნულს ადგილას, თორემ ამათ არც-კი იციან როგორ უნდა ილოცონ და არც მკითხავების მოვალეობაა ამისი სწავლება.

ამ ჟამად ხირსის მონასტერში იმყოფება იქვე ახლად დანიშნული წინამძღვარი არხიმანდრიტი მ. ლეონიდე. მოსვლისათანავე მამა ლეონიდმა ყურადღება მიაქცია ხალხის შეძლებას, სასწავლებლების სიმცირეს, ხალხის ცუდს ზნე ჩვეულებას, ეკლესიაში უსიარულობას და სხ. მ. ლეონიდი ბევრს სოფელში ეცადა სასწავლებლის დაარსებას, მაგრამ ხელი-კი არავინ მოუმართა და რომელ სოფელშიაც მივიდა, უკმაყოფილოდ გამოისტუმრეს. რათა ხალხს თავი მიენებებინა ცუდის ზნე-ჩვეულებისათვის და მიჩვეულიყო ეკლესიაში სიარულს, თავის მონასტერთან მ. ლეონიდმა დააპირა მაზრის დიაკვნებისათვის სასწავლებელის დაარსება, რომ აღედგინა წესიერი გალობა ყოველს ეკლესიაში, მაგრამ არც ამ საქმეში გამოუჩნდნენ თანამგრძნობნი, თუმცა-კი საკმარისი იყო სასწავლებლის დაარსებისათვის წლიწადში სამი მანეთი გარდაეხადნა თითოეულს კრებულს. ამას გარდა პირველ დანიშვნისათანავე ამ ახალს ადგილზედ მ. ლეონიდს ხირსის მონასტრის შენობანი იმისთანა მდგომარეობაში დახვდა, რომ ორ წელიწადს შემდეგ ნანგრევებს-ღა თუ ჰნახავდა კაცი ამ მშვენიერის მონასტრის შენობისას. იგი ყოვლის ღონით სცდილობს გადააკეთოს მთელის მონასტრის შენობანი, მაგრამ ისეთი დიდძალი ფული უნდება ამ მონასტრის შენობების შეკეთებას, რომ თუ შემწეობა არავინ აღმოუჩინა, კარგა ხანს ვერ აისრულებს თავისს განზრახვას. ჩვენს მაზრაში არის შტატ-გარეშე ეკლესიები წინასწარმეტყველ ილიას სახელობაზედ (თუქურმიშაზე) დედოფლის წყაროზედ და მთავარანგელოზის მიხეილის სახელობაზედ ს. ანაგაში, რომლებიც თავისის მდებარეობით ნამდვილი და საუკეთესო საცხოვრებელი იქმნებოდა ბერ-მონაზონებისათვის, რომ მიეწეროს ხირსის მონასტერს. ერთი ამათგანი, მგონია, კიდეც ითხოვა მამა ლეონიდმა, მაგრამ იმისი თხოვნა არ შეიწყნარეს.

მღვდელი ვას. ნათიძე

## რუსეთი

განსაკუთრებულმა საბჭომ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა პურის გაუმჯობესობის საქმე, სავსებით შეიმუშავა პროექტი პურის კომიტეტთა შესახებ, რომელიც განზრახვა აქვთ დააარსონ რუსეთის ყველა უმთავრესს პურის სავაჭრო ადგილში. აღნიშნული პროექტი წარდგენილ იქნება სახელმწიფო საბჭოში დასამტკიცებლად. ამ პროექტის თანახმად, კომიტეტებს, იმ წესების აღსრულების გარდა, რომელიც ელვატორებთან დაწესებულ კომიტეტებისთვის არის დადგენილი, დავალებული ექნებათ: ფინანსთა მინისტრს წარუდგინონ სია პურის ვაჭრობის ინსპექტორების კანდიდატებისა; დაამტკიცონ ხოლმე ზედამხედველები, რომელნიც თვალყურს ადევნებენ პურის გასყიდვას იარმუკებზედ, ბაზრებში და სხვ. და დასტამბონ სავალდებულო დადგენილებანი პურის ვაჭრობის სხვა-და-სხვა საკითხავების შესახებ.

—

ხარკოვში ამ სექტემბერში გამართული იქმნება სასოფლო სამეურნეო გამოფენა, რომელიც ძალიან მდიდარი უნდა იქმნას გამოფენილ ნაწარმოების სხვა-და-სხვაობით. სხვათა შორის, გამოფენილი იქნება მეღვინეობის ყოველი ნაწარმოები.

—

სოფლის საზოგადოებანი ამ ბოლოს დროს სხვა-და-სხვა კერძო ხარჯს ადებენ ამ თავისსავე საზოგადოების მცხოვრებელთ, რომელნიც თავისის სოფლის მოშორებით სცხოვრობენ ბაშფორთებით. ამ ხარჯის მიზეზად სოფლელები იმას ასახელებენ, რომ ეს გლეხები თითონ სხვაგან სცხოვრობენ, ბეგარას არ იხდიან, თუმცა კი საზოგადო მიწა მიზომილი და იჯარით გაცემული აქვთო. ამ ბოლოს დროს ხარკოვის სასამართლომ განიხილა რამდენიმე ასეთი განაჩენი სოფლებისა და გააუქმა, რადგან კანონი ნებას არ აძლევს სოფლის საზოგადოებათ თავისს თანასოფლელებს განსაკუთრებული გარდასახადი და ხარჯი დაადონ ბეგარის გარდაუხდელობის გამო, რადგან ბეგარის პირადად გარდახდა სავალდებულო არ არის საზოგადოებიდგან სხვაგან წასულ წევრთათვისაო.

## უცხოეთი

**საფრანგეთი და გერმანია.** ამას წინად გერმანულს გაზ. „Norddeutsche Allgemeine Zeitung“-ში დაბეჭდილი იყო ერთი წერილი, რომელიც ამბობდა, რომ საფრანგეთსა და გერმანიას შორის ყოვლად შესაძლებელია დაახლოვება, მეტადრე იმას შემდეგ, რაკი გერმანიის იმპერატორიც ამას, როგორც ეტყობა, მოწადინებულია და ამ გვარადაც იქცევაო. ამას ფრანგულმა გაზეთმა „Matin“-მა დასძინა, რომ „როგორც შევიტყეთ, გერმანელები წრეულს უკანასკნელად დღესასწაულობენ სედანის ბრძოლის წლის თავს. იმპერატორს განზრახვა აქვს, საერთაშორისო მორიგებისა გამო და უთანხმოების მიზეზის ასაცილებლად, გააუქმოს ეს დღესასწაული და საერო დღეობად დაჰნიშნოს სხვა რომელიმე ისტორიული ამბავი, რომელიც ასე სამწუხაროდ მოსაგონებელი არ არის სხვა ერისათვისაო“. ამ შენიშვნამ დიდი ალიაქოთი ასტეხა გერმანიის გაზეთებში და სხვათა შორის „Koelnische Zeitung“-მა განაცხადა: «საფრანგეთის გაზეთს აშკარად ეტყობა, რომ ვერ მიმხვდარა მნიშვნელობას გერმანიაში აღძრულ საფრანგეთთან მორიგების სურვილისასაო. იმპერატორს ვილჰელმს არა ერთხელ უჩვენებია, რომ იგი ძვირად აფასებს წარსულს ომიანობის ამბავს, როგორც მამა-პაპათა სამკვიდროს, და როგორც ჭეშმარიტი გერმანელი, არასოდეს არ დაივიწყებს მცირეოდნადაც-კიო. ჩვენ სულაც არ გვინდა, რომ ფრანგები გულ-კეთილად და მოწყალეედ გვექცეოდნენ, ჩვენ გვინდა მხოლოდ ქვეყანას დავანახვოთ, რომ იმათ წინააღმდეგ გულში ჯავრი და ბოროტი არა გვაქვს-რა და არ გვინდა გავამწვავოთ ურთიერთობა ამ ორს ქვეყანას შუა. გერმანელები იმიტომაც

---

თავმან ვამიყ და სარო და ძეთა ჩვენთა: გიორგი, ომარ, მიქამან, ვარამ დ ნუ͡ზარ... მას ჟამსა, ოდეს დიდად სამტროდ შეგვიწყალეს პატრონმან მეფეთ მეფემან გიორგი და მათი ასული ჩვენისა შვილისა (გიორგისთვის) გვიბოძეს დამოგვცეს„... ნეტავი საიდან გამოყაჰა „ხუროთ მოძღვართ-მოძღვარმა“ ამ სისხო „ოფოფი›? „მეცნიერი“ უსათუოდ მიაგნებდა ამ წყაროს დ ხელ-ქვეშეც ექნებოდა, მაგრამ „ახალ-სისტემ-სინტეზის მეცნიერი“ ჩვენებურ დედამიწურ წყაროს როდი ეწაფება, თუ არ ზესკნელ-ჰაერო-სნულს.

ეხლა სხვა ოფოფებიც. ფრასები: «სახელით ოდენ კამიყ ერისთავი“ „და თანამეცხედრემან ჩემმან სახელით ოდენ დულარდუხტ-„ყოფილმან მონაზონმან.„ რომელ ლოღიკით უნდა ჰნიშნავდეს, რომ ვამიყისთვის წაურთმევიათ საერისთაო? რა დიდი მეცნიერება უნდოდა, რომ რაკი ვამიყ ბერად შედგა, ცალიერი სახელიღა დარჩა მას ერისთაობისა, რომელსაც განაგებდა მის შვილი გიორგი, მეფის სიძე (იხ. კანტ. გუჯარი, 75); ან საიდამ გამოაბრწყინა „მეცნიერთა უსტაბაშმა“ შემდეგი თვისი დასკვნა: ,,უნდა ვიფიქროთ (იფიქრეთ მაგრამ კარგად-კი იფიქრეთ. ჯერ-კი საბუთები მოიხელთეთ), რომ ისინი (ვამიყ ცოლითურთ) ჯერ გამჰქმადიანებულან (!!) და შემდეგ შეუნანებიათ... ბერ-მოღვაწეობით. რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი, თუ არ... მეფის ალექსანდრეს წინააღმდეგობა და ორგულობა, რომლის გულისთვის (თუ მუცლისთვის?) იგი, უჯწყალოდ (დახეთ!) განდევნიდა მათ თავის (sic) საერისთოდგან“ (იხილეთ! თავშივ-კი ყოფილა საერისთო, ერისთავნიც შიგ მსხდარან, მაგრამ განდევნილან და აწ უთავოდ ბრძანებულა თავი! სტიროდეთ?). ცხადად არა სჩანს, მეფეს გაუწევია ორგულობა ვამიყისთვის, თუ უკანასკნელს პირველისთვის, მაგრამ ის-კი ,,უეჭველობით‘‘ გამობრწინვებულია, რომ ,,თავის საერისთაოდან‘‘ განდევნილა „თავის ერისთავი“ და შენი მტერი, თუ თავი დარჩა უერისთოდ და „უნჩალნიკოდ“!—მაგრამ ეს წვრილმანებიც ვაპატიოთ „უგრამატიკოსოს“, რომელსაც ჯერ არ გაუვლია გაკვეთილი იმისი, თუ როგორ უნდა დაბრუნდეს (იკანკლედოს) „თავისი“ (თავისის, ანუ თვისის თავისსა, ანუ თვისს და სხ., ხოლო თავი: თავის, თავს და სხ.), და ვკითხოთ თვით «თავის ერისთავთა ერისთავს“, აბა საიდამ შეთხზა გ. წერეთლის „თავმან“, გინა ერისთავმა თავისამ, რომ „თავის საერისთოდან“ განდევნილი ვამიყ ერისთავი საფეხეთში ჩასულა და გამაჰმადიანებულა ცოლითურთ მისით „დულარდუხტ ყოფილთ დომნეთი“. მართალია, თავი განდევნილა საერისთოდამ და ვამიყს შერჩენია ცალიერი გოგრაღა, მაგრამ „პოპროშნიკები“ ხომ დარჩებოდნენ ამ გოგრაში, „ბლაღოჩინებს“ მაინც ხომ არ განდევნიდნენ, ამათ ვკითხოთ... გ. წერეთლისთვის მიმინდვია, ასე იქნება თუ ისე, რა გინდ ღონე იღონოს, მაინც მომიძებნოს თავი ვამიყ ერისთავისა, „თავის საერისთოდან“ გამოგდებული „თავის ცოლითურთ“ (ცოლიც თურმე ჰყოლია თავს!) და გამოჰკითხოს, თუ როდის, რა იძულებით მიუღია მას მაჰმადიანობა, მერე შეუნანებია „თავის ცოდვა“ (ფეხების ცოდვები-კი აბა რა შესანანია!), თავის მონასტერში შესულა (აკი თავში მონასტერიც დარჩენილა და რასაკვირველია «ბლაღოჩინებიც“!) და „თავის საშაბურო მამულიც“ ამ «თავის მონასტრისთვის› შეუწირავს (ჰხედავთ, რამდენი თავებია და თავებში—მონასტრები, ერისთვები, ცოლები, ბლაღოჩინები, პრისტავები, საშაბურო მამულები, წყლები, წისქვილები, სახმარ-უხმარები,—ერთი ქარის წისქვილიც-კი შიგ ტრიალებს,—აბა, თავიც ესეთი უნდა-და!).

შეიძლება გ. წერეთლის გამოძიებამ. ვამიყ ,,თავის ცოლითურთ‘‘ მართლა დამნაშავედ აღმოაჩინოს გამაჰმადიანებაში, მაგრამ მე მაინც რაღაც ეჭვი მეპარება, რომ ეს მძიმე ,,ოფოფები‘‘ თვით გ. წერეთელმა მოახვია საცოდავს ვამიყ-დულარდუხტის თავებს და ძალად გაამაჰმადიანა ,,თავის ერისთავი‘‘, როგორც ბაგრატ იმერეთისა ძალად გააბაგრატ-დიდა და გაბაგრატ-დიდებული მეფე თავის ნებით (ე. ი. გ. წერეთლის თავის და არა გულ-მუცლის ნებით) ძალადვე გააბერ-მონაზონა, ხოლო დავით აღმაშენებელი გაახუროთ-მოძღვრა და „ახლ-სისტემ-სინტეზ პრინციპიანის‘‘ კიბით ასწია და გელათის გუმბათიდამ გადააქვეყირავა; ,,გიორგი მცირე‘‘ გაამეფა პაპათა პაპის უწინ და გაუშვილისშვილა გაბაგრატ-დიდ-ბერ-მონაზონებულს, საუკუნენი წინანი გააუკან-საუკუნოვა და უკანანი საუკუნენი გააწინისწინა, ,,ეგრეთი‘‘ სრულიად გააკლდე-რიყიანა, ყოველნი მეცნიერნი გაათავმძიმა და თავი თვისი გაათავმსუბუქა გაამოძღვართმოძღვარა, და სხვა და სხვა. ამდენის და უუმრავლესის სასწაულის პატრონს განა გაუჭირდებოდა ვამიყ-დულარდუხტის თავების საერისთაოდამ ერისთვების გასხმა, გამაჰმადიანება და მერე გაბერმონაზონ-მოლოზნება მათი.

ერთიც მცირე ,,ოფოფი‘‘: გ. წერეთლის სინტეზ-სისტემით ,,მეფე ალექსანდრე პირველი თურმე ცხოვრებდა 1412—1445“. მაგრამ წვრილმანი რა საანგარიშოა?

ხოლო ის კი საანგარიშოც არის და თავ-საცემიც, რომ გ. წერეთელს მკვდარი კათალიკოზიც კი გაუცოცხლებია და ვამიყის გუჯარში თავის ნებით (ე. ი. ბ-ნ გ. წერეთლის თავის ნებით) ძალად ჩაუტენია›: «რომელიც (ე. ი. გუჯარი 1474 წ.) მას (ვამეყს) მიუცია მარკოზ კათალიკოზისთვის“. თქვენი რისხვა მქონდეს და ჩემის თავის ერისთავ-ნაჩალნიკ-ბლაღოჩინებიც ნუ დამეხოცებიან, თუ იმ გუჯარში ხსენებაც კი იყოს მარკოზ კათალიკოზისა. ან როგორ მისცემდა ვამიყ გუჯარს კათალიკოზს, რომელიც მაშინ მკვდარი იყო († 1466 წ.) და და მისს კათედრაზედ იჯდა სხვა კათალიკოზი. ესეები სულ გამოგონილი გახლავთ და შეთხზული გ. წერეთლის მიერ «ახალ-სინტეზ-სისტემით»!

კიდევ ერთი დიდი ოფოფი: ბ-ნი ახალ-სინტეზ-სისტემ-პრინციპიან ხელსამძღვანელოს პატრონი გვარწმუნებს, რომ ვამიყ ერისთავი ცოლითურთ დახატულნი არიანო ბოდორნოს ეკვდრის კედლებზე და გვაგულისხმებინებს (დუმილით მაინც), ვითომ «კვალში» იქიდამ გადმოესურათებინოთ ცოლ-ქმარნი. თქვენ ნუ მომიკვდებით, ეს სურათი გად-

არ უარ-ჰყოფენ სედანის ბრძოლას, რომ ამ მამულიშვილობის გრძნობის დაჩლუნგების ეპოქაში დიდად საჭიროა ამ გრძნობის გამახვილება და განკარგება. კეთილ-გონიერის ფრანგისათვის სედანის ამბავი ისე უსიამოვნო არ უნდა იყოს. ჩვენ თუ ამ დღეს საფრანგეთის იმპერიის დამხობასა ვდღესასწაულობთ, საფრანგეთის რესპუბლიკელს შეუძლიან რესპუბლიკის დაარსება იდღესასწაულოს ამ დღესვეო“. დასასრულ გაზეთი დასძენს, რომ სედანის წლის თავს გერმანელები ყოველთვის იდღესასწაულებენო.

—

**ბოლგარია.** ოფიციალურ გაზ. „Свободно Слово“-ში დაბეჭდილია ცანკოვის დასის ერთის წევრად ნამყოფისა ცანკოვის მიერ ხალხის მიმართ გამოქვეყნებულ წერილის საპასუხოდ, რომელშიაც იგი, სხვათა შორის, ამბობს, რომ პრინცი ფერდინანდი ბოლგარიის კანონიერ მთავრად მიმაჩნიაო. „ყველა, რაც-კი თქვენ დაიწყეთო, სწერია ამ პასუხში: საკეთილოდ არ გამოსდგომია ბოლგარიას. პაპის საქმეს იტყვით, მთავარ ალექსანდრეს განსადევნელად ბრძოლას, თუ სხვას, ვერსად ვერ გაიმარჯვეთ. ეხლა განგიზრახავთ ბოლგარიისა და რუსეთის მორიგება. მერწმუნეთ, თქვენისთანა „მამულიშვილებიც“ რომ არა გვყავდეს, არავინ არ არის ბოლგართა შორის, რომ რუსეთთან უსიამოვნება უნდოდეს. თქვენს ამ საქმეში ჩარევას, კარგი-კი არა მოჰყვება-რა, პირ-იქით, შეიძლება რუსეთსა და ბოლგარიას შორის ომიც ასტეხოს. ამიტომ ძალიან კარგს იზამთ, რომ პეტერბურგშივე დაბრუნდეთ და იქ იცხოვროთ გულ-არხეინად რუსეთის მანეთებით, ვიდრე მართლაც რუსეთი და ბოლგარია არ მორიგდებიან ერთმანეთშიო“. ამასობაში ბოლგარიის მინისტრთა საბჭოს გადაუწყვეტია, რომ, რადგან დრაგან ცანკოვი რამდენისამე ამბოხების მეთაური იყო, აეკრძალოს ბოლგარიაში შემოსვლაო.

---

## გამოსადეგი ცნობა

—

ძირტკბილათი გამოკვება აბრეშუმის ჭიისა. რადგან ყველგან არ იშოვება თუთის ფოთოლი, მეტადრე რუსეთში, აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად და ამიტომ ბევრგან დიასახლისები მოკლებულნი არიან შეძლებას აბრეშუმი მოაშენონ, ამის გამო ამ ბოლოს დროს ბევრნი სცდილობდნენ სხვა რამ მცენარე გამოეძებნათ აბრეშუმის ჭიის საკვებად. ასეთი მცენარე უკვე უპოვნია ქ-ნს ტიხომიროვისას, რომელსაც, პროფესორის ა. ლ. ტიხომიროვის ხელმძღვანელობით, ორის წლის განმავლობაში უკვებავს აბრეშუმის ჭია და წარმატებითაც უკვებავს. როგორც გაზეთები იუწყებიან, 200 ჭიას, ამ მცენარით ნაკვებს, 200-მდე პარკი გაუკეთებია, რომელსაც კარგი, ჩინებული, ნამდვილი აბრეშუმი გამოსვლია. ეს მცენარე უბრალო ძირტკბილაა (Sconzonera hispanica), რომელიც მრავლად იზრდება თავის თავად მინდვრებში, როგორც მთად, ისე ბარად. თუ ეს მცენარე მართლა გამოდგა აბრეშუმის ჭიის საკვებად, მაშინ მთაში, სადაც თუთის ხის გაშენება ძნელია, ძალიან ბევრი მიჰყოფს ხელს აბრეშუმის ჭიის შენახვას.

---

მოღებულია თ. გაგარინის მიერ თვით იმ 1474 წლის გუჯრიდამ, რომლის თავს დასურათებულნი არიან დურანდუხტ და ვამიყ ერისთავი სწორედ ისე, როგორც ვხედავთ «კვალში», და თუ არ დამიჯერებთ, თვით გუჯარს გიჩვენებთ. აბა, აქ რა უნდა ბოდორნას ნანგრევებს?! გ. წერეთელი მოგახსენებთ: „არის სინოდის კანტორიდამ წამოღებული ერთი სიგელი, დ. ბაქრაძისაგან განხილული,—სადაც ვამიყ შაბური იხსენიება ერისთავად“ (არა! «ერისთავი—ერისთავად“). სად არის ეს გუჯარი? სჩანს გ. წერეთელთან არის. მაგრამ დახეთ სასწაულს, ახლა ის გუჯარი გ. წერეთელთან არ არის*). „არიქათ, ბიჭებო, არიქათ „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგენო, არიქათ ყოველნო „ახალ-სისტემ-სინტეზ-პრინციპოსან ხელ-სამძღვანელოს“ შვილნო და შვილიშვილნო: უყურეთ, ის გუჯარი დ. ბაქრაძეს ჰქონია, მერე გ. წერეთელს უშოვნია და ახლა, როგორც სჩანს, თ. ჟორდანიას ჩაჰვარდნია ხელში... გამოჰგლიჯეთ, ამოიგეთ“. უყურეთ ახლა, რა ნარი ცეცხლს დამინთებს ზურგ-მუცელზე გ. წერეთლის შარ-ბილწ-სიტყვაობითი ცილის-წამება!

ერთი ოფოფიც! მაგრამ არა! ესეც კმარა! თუ ოთხს გ. წერეთლის პაწია „ახალ-სინტეზ-სისტემის ხელ-სამძღვანელო მეცნიერულს გამოკვლევაში“ ამდენი ოფოფები აღმოჩნდა (მერე ჩვენ მხოლოდ რამდენიმეღა აღმოვარჩიეთ), იფიქრეთ, როდის გათავდება ჩვენი ოფოფებზე განადირება, რომ მთელი ეს ვრცელი მანძილი გ. წერეთლის ისტორიულ წერილებისა გავირბინოთ. მე განგებ გ. წერეთლის პირველ წერილებიდგან დავიწყე, რომ უმართლოდ არავინ დამაბრალოს, აქა-იქ ამოურჩევიაო, რომელიც უფრო ოფოფებიანი იყოო, და გადვინადირე რიგზე პირველი ოთხი „სტატია“ (№№ 11, 16, 22, 25, 1893 წ.). ნუ თუ საჭიროა ამაზე მეტი, რომ სრულიად და ნათლად დაინახოს მკითხველმან, თუ ვითარის ნისლ - ბურუს-ოფოფ - ჰაეროსნულის თვისების ისტორიკ ხუროთ-მოძღვარ-

*) მართალია „კვალში“ სტატია ვამიყ შაბურზე მოწერილია: «XX-ლი», მაგრამ მთელს სტატიას გ. წერეთლისებური სუნი ასდის და თუ მისი არ არის (მისი რად იქნება!), მათის „მოძღვართ-მოძღვრობის“ ერთის ნაშეგირდალთაგანისა ხომ მაინც იქნება და, როგორც «ჩვენის ისტორიის უმწვერვალესს მეთვალ-ყურეს», გ. წერეთელს, ვგონებ, თავის გემოზე „გადუქნია“. დასტური მაინც ხომ მიუცია.

---

# განცხადებანი

---

## ცხოვრება

დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა

თარგმნილი

მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი

**ფასი ერთი შაური**

ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

---

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათ. ანეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი**,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი.** 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½ საათამდის.

**გ. ი. ფრანციუსი**, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერიფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)

---

ხარკოვში

„რიბნი“ ქუჩაზედ

გაიმართა სასტუმრო

## „რუსი“

დიდად მოხერხებულია, და იაფი.

საუკეთესო სამზარეულო აქვს ხარკოვში.

სასტუმროსთან არის გამართული უმთავრესი საწყობი რიგას ლუდის ქარხნის „კალდშლიოსსენისა“.

ლუდი იგზავნება ყველა ქალაქში. 10—5 (გ. 17)

---

ისყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში: ი. ხეთერელისა და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში ბ. კალანდაძესთან.

განჯაში დ. ქლივიძესთან.

ახალ-სენაკსა და ოზურგეთში კ. თავართქილაძესთან.

## ქრისტინე

მოთხრობა

ე. ნინოშვილისა

გამოცემული

პ. გოგუაძისა და დ. ქლივიძის მიერ

**ფასი ერთი აბაზი**

---

დამზღვევი საზოგადოება

## „იაკორი“

(ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს, გარდა სათადარიგო ფულისა.

### დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

### დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომლიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, ანუ თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2. (50—1234—41)

---

**საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა**

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

1 იანვარს 1891 წელს საზოგადოებას ჰქონდა თანხად 72.000,000 ფრანკი

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენ“-მა 1890 წ. საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 13.

## „ურბენი“

(L'URBAINE)

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფობის დროს ანთავისუფლებსვადიან გარდასახადისაგან და პოლის ს-გი ძალა არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, ველიამინოვის ქუჩა, სახლი № 10, მეორე გიმნაზიის პირდაპირ.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზანებათ.

(40—1061—16)

---

Maison HERMANN-LACHAPELLE, J. BOULET & C-ie, SUCC-rs

31 et 33 Rue Boinod, პარიჟი.

4 ოქროს მედალი აქვს მიღებული, 1889 წ. მსოფლიო გამოფენისა, ჯვარი საპატიო ლეგიონისა 1888 წელს.

**ხელობადა აქვს ორთქლის მაშინების კეთება.**

| | | |
|---|---|---|
| განიერი ნახვრად მოძრავი ორთქლის ქვაბები, რომელსაც ბოლისათვის მიხვეულ-მოხვეული ასავალი აქვს, ორის ცილინდრით, 4-დგან 100 ცხენის ძალით. | მაღალი ნახვრად მოძრავი 1-დგან 100 ცხენის ძალით. | მოგრძო უძრავი 1 ანუ 2 ცილინდრით 3-დგან 250ცხენის ძალით |





ორთქლის მაშინები ელექტრონის სინათლის დასადგენად.

პრეის-კურანტები უსასყიდლოდ იგზავნება.

(6—31—4)